

საქართველოს ეროვნულ ბანკს

საქართველოს საფონდო ბირჟას

სააქციო საზოგადოება „ბამბის ნართი“ (ს/ნ 200003085) გიდგენტ 2020 წლის 6 თვის საფინანსო ანგარიშს „25“ ფურცელზე.

სს „ბამბის ნართი“-ს დირექტორი:

/თეონა ლეზანიძე/



სააქციო საზოგადოება „ბამზის ნართი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

თავსართი

საწარმოს სრული დასახელება	სააქციო საზოგადოება „ბამზის ნართი“
საწარმოს მოკლე დასახელება	სს „ბამზის ნართი“
საიდენტიფიკაციო კოდი	200003085
ადგილმდებარეობა	საქართველი, თბილისი
საფოსტო მისამართი	ვახტანგ ნინუას ქ. N3
სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი	1/5-22
რეგისტრაციის თარიღი	25/X-1996წ.
საკონტაქტო ტელეფონი	2 69 37 52
საკონტაქტო პირი	თეონა ლებანიძე
დირექტორი	თეონა ლებანიძე
საქმიანობის სფერო	საიჯარო მომსახურება
აუდიტორული ფირმის (აუდიტორის) დასახელება	შპს ნექსია თიეი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა 09

2. მომზადების საფუძველი..... 10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები 18

5. ძირითადი საშუალებები..... 19

6. საინვესტიციო ქონება 21

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 22

8. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 22

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22

10. შემოსავალი..... 23

11. ხელფასის ხარჯი და სხვა სარგებელი 23

12. საოპერაციო ხარჯები..... 23

13. კაპიტალი 23

14. საგადასახადო აქტივი..... 24

15. ფინანსური რისკის მართვა..... 24

16. დაკავშირებული მხარეები..... 25

17. მოგების გადასახადი..... 25

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები 26

სს „ზამბის ნართი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	30.06.20	31.12.19
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	180 500	185 475
საინვესტიციო ქონება	5	9 824 528	9 824 140
სხვა გრძელვადიანი აქტივები		86 047	47 572
სულ გრძელვადიანი აქტივები		10 091 074	10 057 187
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები		9 519	2 570
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		682	454
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	32 207	49 273
ფული და ფულდი ექვივალენტები	7	22 721	22 031
სულ მიმდინარე აქტივები		65 129	74 328
სულ აქტივები		10 156 203	10 131 515
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		926 304	926 304
გაუნაწილებელი მოგება //(ზარალი)		9 186 073	9 153 864
სულ კაპიტალი		10 112 377	10 080 168
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		7 824	15 346
გადასახდელი დივიდენდი		36 001	36 001
სულ მიმდინარე ვალდებულებები		43 825	51 347
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10 156 203	10 131 515

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:
 დავით პაპუნაშვილი




დირექტორი:
 თონა ლებანიძე



09-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	30.06.20	30.06.19
ამონაგები	8	141 064	138 952
სხვა შემოსავლები		-	148
ცვლილებები მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		228	90
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა		- 336	- 2 130
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	- 71 723	- 73 189
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		- 7 491	- 7 914
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		-	- 7 472
შეძენილი მომსახურების ხარჯი			
საგადასახადო ხარჯი		- 17 743	- 22 054
საოპერაციო ხარჯები	10	- 11 790	- 21 479
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		32 208	4 954
საკურსო სხვაობა		-	- 987
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		3	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		- 0	- 8 686
მოგება-ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან		2	- 9 673
მოგება დაბეგვრამდე		32 210	- 4 719
მოგების გადასახადის ხარჯი			- 56 706
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		32 210	- 61 425
შემოსავალი ერთ აქციაზე		0.05	- 0.09
სხვა სრული შემოსავალი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		32 210	- 61 425
საანგარიშო წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		32 210	- 61 425

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დავით პაპუნაშვილი



დირექტორი:

თეონა ლეზანიძე

09-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

დასახელება	30.06.20	30.06.19
I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები		
საიჯარო და სხვა მომსახურებიდან მიღებული ფული	158 582	163 675
საქონლის რეალიზაციით მიღებული ფული		-
სულ საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადი	158 582	163 675
გაცემული (გასული) ფული		
მომწოდებლებზე (საქონელი, მომსახ-ბა) გაცემული ფულადი სახსრე	47 337	57 078
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები	47 454	36 244
ფ.პ. ერთჯერადი ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებაზე	3 400	14 235
ყოფილი მუშებზე დასახიჩრების ზიანის ანაზღაურება	2 764	2 764
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა განაცემები	1 204	9 697
ქველმოქმედება	-	1 400
საბიუჯეტო გადასახადები (გარდა მოგებისა)	52 880	134 381
დივიდენდის გაცემა		333 969
სულ საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები	155 038	589 766
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3 544	- 426 091
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
რეალიზებული ძირითადი საშუალებები	-	5 000
შეძენილი ძირითადი საშუალებები	- 2 854	- 565
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	- 2 854	4 435
III. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა მატება/კლება	690	- 421 656
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	22 031	442 550
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	22 721	20 894

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი



დირექტორი:

თეონა ლეზანიძე

09-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

	საქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარა ლი	სულ
ნაშთი 31.12.2018	926 304	9 136 767	10 063 071
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლების (მ.შ.: საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი გადაფასების რეზერვი) გადატანა	-	- 61 425	- 61 425
ნაშთი 30.06.2019	-	9 075 342	9 075 342
ნაშთი 31.12.2019	926 304	9 153 864	10 080 168
სულ მოცემული წლის სრული შემოსავლების (მ.შ.: საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი გადაფასების რეზერვი) გადატანა	-	32 210	32 210
ნაშთი 30.06.2020	926 304	9 186 074	10 112 378

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი




დირექტორი:

თეონა ლებანიძე



09-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ბამბის ნართი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 1996 წლის 25 ოქტომბერს გლდანი-ნამალადევის სასამართლოს #1-5-22 დადგენილებით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 200003085. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნამალადევის რაიონი, ვახტანგ ნინუას ქუჩა #3. კომპანიის ხელმძღვანელთა თეონა ლებანიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავებას.

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 858 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „ფასიანი ქაღალდების რეესტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 712,541 ცალს.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის აქციების წილი გადანაწილებული იყო შემდეგი სახით:

მსხვილი აქციონერები	2020
ქვათაძე ქრისტინე	15.1245%
ჯინჭარაძე ლუიზა	13.0395%
პაპუნაშვილი დავითი	12.6814%
ლებანიძე თეონა	12.6589%
ახვლედიანი თამაზი	12.6664%
ლლონტი დავითი	12.6664%
ყურაშვილი მურმანი	7.2090%
მარშანია გულო	5.2185%
სხვა ფიზიკური პირები	8.7354%
სულ	100%

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჰოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, აქტივებისა თუ კაპიტალის ოდენობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღრიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომ სებ) გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლის 30 ივნისს და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	30 ივნისი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.0552	2.8677
1 EUR/GEL	3.4466	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც იწვევს ერთი სუბიექტის ფინანსურ აქტივს და მეორე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15 ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმაზე თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღობვა, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა. კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე. მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

პირველადი აღიარება და

შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ადიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების ადიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების ადიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები,

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ნაშთებს.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცოხლო პერიოდის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის ნორმა %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	8%
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	20%

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შექმნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ საბაზრო ღირებულებას გადაფასების თარიღში. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება სამართლიანი ღირებულების ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში როდესაც მოხდა ცვლილება.

საინვესტიციო ქონების აღარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივისგან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ აქციონერებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობას არსებული აქტივის გასაყიდად ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ აქციებს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს სააქციო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

კომპანიამ მოახდინა მიწის და შენობა-ნაგებობების შეფასება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიის საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დასაშვები ღირებულებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა კომპანიის მეჯმენტის მიერ საბაზრო მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული მოიცავდა ჩვენი დამოუკიდებელი შემფასებლის ჩართვას აუდიტის პროცესში. საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დეტალები მოცემულია შენიშვნა 7-ში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებინათ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სს „ზამზის წართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

დასახელება	შენიშვნები	მანქანა - დანადგარები	სხვა	ჯამი
d/საშ. საბალანსო ღირებულება				
d/საშ. საბალანსო მამთი 31.12.2018 მდგომარეობით	28 118	198 310	12 440	238 868
2019 მატება (დამატებული ძირითადი საშუალებები. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები გადაფასება)	1 186	-	1 295	2 481
2019 კლება (გასული ძირითადი საშუალებები ს. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	-	-	-
d/საშ. საბალანსო მამთი 31.12.2019 მდგომარეობით	29 304	198 310	13 735	241 349
01.01.2020-30.06.2020 მატება (დამატებული ძირითადი საშუალებები. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები გადაფასება)	962	-	1 554	2 516
01.01.2020-30.06.2020 კლება (გასული ძირითადი საშუალებები ს. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	-	-	-
d/საშ. საბალანსო მამთი 30.06.2020 მდგომარეობით	30 266	198 310	15 289	243 865
d/საშ. ჯამური ცვეთა (მ.შ.: ცვეთა საანგარიშო პერიოდების)				
დარიცხული (ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 31.12.2018 მდგომარეობით	2 308	30 460	7 215	39 984
2019 დარიცხული ცვეთა	1 320	13 443	1 127	15 890
2019 გასული ძირ. საშუალების დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა (ამცირებს ჯამურ ცვეთას)	-	-	-	-
დარიცხული (ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 31.12.2018 მდგომარეობით	3 628	43 903	8 342	55 874
01.01.2020-30.06.2020 დარიცხული ცვეთა	679	6 177	636	7 491
01.01.2020-30.06.2020 გასული ძირ. საშუალების დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა (ამცირებს ჯამურ ცვეთას)	-	-	-	-
დარიცხული (ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 30.06.2019 მდგომარეობით	4 307	50 080	8 978	63 365
d/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
d/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2018	25 810	167 850	5 225	198 884
d/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2019	25 676	154 407	5 393	185 475
d/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 30.06.2019	25 959	148 230	6 312	180 500

სს „ბამბის წართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

დასახელება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სხვა	ჯამი
დ/საშ. საბალანსო ღირებულება				
დ/საშ. საბალანსო მამთი 31.12.2018 მდგომარეობით	28 118	198 310	12 440	238 868
01.01.2019-30.06.2019 მატება (დამატებული ძირითადი საშუალებები. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები, გადაფასება)		-	479	479
01.01.2019-30.06.2019 კლება (გასული ძირითადი საშუალებები ს. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	-	-	-
დ/საშ. საბალანსო მამთი 30.06.2019 მდგომარეობით	28 118	198 310	12 919	239 347
დ/საშ. ჯამური ცვეთა (მ.შ.: ცვეთა საანგარიშო პერიოდების)				
დარიცხული (ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 31.12.2018 მდგომარეობით	2 308	30 460	7 215	39 984
01.01.2019-30.06.2019 დარიცხული ცვეთა	645	6 714	555	7 914
01.01.2019-30.06.2019 გასული ძირ. საშუალების დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა (ამცირებს ჯამურ ცვეთას)	-	-	-	-
დარიცხული (ჯამური-დაგროვილი) ცვეთა 30.06.2019 მდგომარეობით	2 954	37 174	7 770	47 898
დ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
დ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31.12.2018	25 810	167 850	5 225	198 884
დ/საშ. ნარჩენი საბალანსო ღირებულება 30.06.2019	25 164	161 136	5 149	191 449

სს „ბამბის წართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

დასახელება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ჯამი
d/სამ. საბალანსო ღირებულება			
საბალანსო მამთი 31.12.2018 მდგომარეობით	8 229 099	1 577 658	10 214 003
2019 მატება (დამატებული საინვესტიციო ქონება. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები გადაფასება)	-	29 238	29 238
2019 კლება (გასული საინვესტიციო ქონების. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	11 855	11 855
საბალანსო მამთი 31.12.2019 მდგომარეობით	8 229 099	1 595 041	9 824 140
01.01.2020-30.06.2020 მატება (დამატებული საინვესტიციო ქონება. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები გადაფასება)	-	388	388
01.01.2020-30.06.2020 კლება (გასული საინვესტიციო ქონების. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	-	-
საბალანსო მამთი 30.06.2020 მდგომარეობით	8 229 099	1 595 430	9 824 529

დასახელება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ჯამი
საბალანსო მამთი 31.12.2018 მდგომარეობით	8 229 099	1 577 658	9 806 757
01.01.2019-30.06.2019 მატება (დამატებული საინვესტიციო ქონება. მ.შ.: კაპიტალიზირებული ხარჯები, გადაფასება)	-	27 861	27 861
01.01.2019-30.06.2019 კლება (გასული საინვესტიციო ქონების. ღირ. მ.შ.: ლიკვიდირებული)	-	11 855	11 855
საბალანსო მამთი 30.06.2019 მდგომარეობით	8 229 099	1 593 664	9 822 763

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია რეალური ღირებულებით. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეფასება გაკეთდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რომელიც არის აკრედიტირებული დამოუკიდებელი შემფასებელი. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეფასება გაკეთებულია კომპანიის მიერ და დაფიქსირებული არ არის ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გამოიწვევდა რეალური ღირებულების გადაფასებას. კომპანიის მიწა და შენობები განთავსებულია თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3-ში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30.06.20	31.12.19
სავაჭრო მოთხოვნები	214955	207083
დაკლებული გაუფასურების დანაკარგი	-183304	-183304
წინასწარგადახდილი თანხები	556.27	25494
სულ	32 207	49 273

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ შედგება, სავაჭრო და სხვა დებოტორული დავალიანებისაგან. ყოველი წლის ბოლოს კომპანია აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	30.06.20	31.12.19
ეროვნული ვალუტა სალაროში	393	22030
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22328	1
სულ	22 721	22 031

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი, კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულება დენომინირებულია ლარში.

სს „ბამბის წართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

10. შემოსავალი

	30.06.20	30.06.19
საიჯარო და სხვა მომსახურებიდან	141 064	138 952
სულ	141 064	138 952

11. ხელფასის ხარჯი და სხვა სარგებელი

	30.06.20	30.06.19
შრომის ანაზღაურება	68 769	70 203
დასახიჩრების ანაზღაურება	2 954	2 986
სულ	71 723	73 189

12. საოპერაციო ხარჯები

	30.06.20	30.06.19
საჯარო რეესტრის ეროვ. სააგენტოს ხარჯები	110	60
აუდიტორული და იურიდიული მომსახურების ხარჯები	564	2 170
საბუღალტრო მომსახურება	7 119	7 627
შსს სსიპ „112“ მომსახურების ხარჯები	2	3
მასმედიის ხარჯები (განცხადები გამოქვეყნების ხარჯები)	40	20
სანოტარო მომსახურების ხარჯები	278	454
აქციათა რეესტრის მომსახურების ხარჯები	394	446
ბანკის მომსახურების ხარჯები	266	4 242
კომუნიკაციის ხარჯები	171	363
წყლის ხარჯი	130	178
ელ. ენერჯის ხარჯი	1 052	714
ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის ხარჯები	757	2 995
საოფისე ინვენტარის ხარჯები (მ.შ.: საკანცელარიო ხარჯები)	61	-
საქველმოქმედო ხარჯები	-	1 647
სხვა გარე მომსახურების ხარჯები (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა)	847	560
სულ	11 790	21 479

13. კაპიტალი

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ განუხორციელებია ცვლილება საწესდებო კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას. აქციონერების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1-ელ შენიშვნაში.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2020 წელს კომპანიას დივიდენდი არ გამოუცხადებია.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის აქციონერების მიმართ გასაცემი დივიდენდი 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 36,001 ლარს.

14. საგადასახადო აქტივი

კომპანიას 2020 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის ქონდა საგადასახადო აქტივი. საგადასახადო აქტივი შედგებოდა, დამატებითი ღირებულების გადასახადის, გადასახდელი მოგების გადასახადის, ქონების, მიწისა და სხვა გადასახადებისგან.

15. ფინანსური რისკის მართვა

	30 ივნისი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	31,651	23,778
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები	22,721	22,031
სულ	54,372	45,809

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 8. კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქალაქებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებასთან.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცოცავი საპროცენტო გაკანვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2020 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არც საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

კომპანიას 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივები, შესაბამისად არც სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

16. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 46,138 ლარი.

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგებას, რომელიც მიღებულ იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადების ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საქართველოს სახადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2018 წლის 6 დეკემბერს ჩატარდა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, სადაც გამოცხადდა გასაცემი დივიდენდი 370,000 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 59,712 ლარი.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.